



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 249
27/02/2018

249-02-4-201802271656



ონის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე და 53-ე მუხლების, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 104-ე მუხლის პირველი პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის მობილობის წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 აპრილის N199 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

ონის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმა განისაზღვროს დანართის შესაბამისად (დანართი №1 თან ერთვის).

მუხლი 2

რეორგანიზაციის პროცესში მერიამ იმუშაოს მერიისა და სტრუქტურული ერთეულების მოქმედი დებულებებისა და საშტატო ნუსხის შესაბამისად.

მუხლი 3

ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ემზარ საბანაძე

მუნიციპალიტეტის მერი